**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებ- [illegible] კლუბის ქვემოთ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება თფილისში „დროებისს" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის (გვარადის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროებისს" ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| მთელის წლისა . . . | 9 მან. | სამის თვისა . . . | 3 მან. |
| ექვსის თვისა . . . | 5 მან. | ერთის თვისა . . . | 1 მან. |

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა**

ყოველი სტრიქონი, ასოზე 1 [illegible] ასოზე წასვლა კაპ., ნუმერისთვის [illegible] ზე 8 კაპ.

თუ ხაჭოროებს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია უკანვე არ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური


ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნახევარ წლის ხელის-მოწერა.**

ნახევარის წლით, ე. ი. 1 ივლისიდამ 1882 წლის დამლევამდის

## „დროება"

ღირს გაგზავნით 5 (ხუთი) მანეთი

ხელის-მოწერა მიიღება: ტფილისში—გოლოვინის პროსპექტზე, თ. ივ. მუხრანსკის სახლებში, კლუბს ქვემოთ.

ქუთაისში—ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, редакція „Дроэба".

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ-რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოსი")

**პეტერბურღი**, 21 ივლისს. „მმართებლობის მოამბეში" დაბეჭდილია, რომ თ. ვიაზემსკი დამტკიცდა ბეჭდვის საქმეების გამგეობის უფროსად.

ელცსა და ცარიცინში სახელმწიფო ბანკის განყოფილება დაწესდა.

გაზ. „პეტერბურღის ლისტოკს" ხელ-ახლად მიეცა უფლება ცალკე ნომრების გასყიდვისა.

**მოსკოვი**; 21 ივლისს. გუშინ საღამოს დაიხურა მწარმოებელთა კრება.

**პარიჟი**, 21 ივლისს. ინგლისმა ორი სამხედრო გემი გაგზავნა კორეაში და იგივე უფლება მოითხოვა, რაც ამერიკასა აქვს.

**სტამბოლი**, 21 ივლისს. რუსეთმა გამოაცხადა, რომ კონფერენციაში ის მონაწილეობას არ მიიღებს; მხოლოდ როდესაც სუეცის არხის შესახებ იქნება სჯა, მაშინ ისიც გაერევა ამ საგანზედ სჯაში.

**ლონდონი**, 21 ივლისს. ადმირალს სეიმურს ბრძანება მოუვიდა, რომ აბუქირის დათმობა მოითხოვოს და თუ არ დაუთმონ ეგვიპტელებმა; ზარბაზნი დაუშინოს. მინისტრმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რუსეთმა თავის ელჩს მისწერა, რომ იმავე წესით მიიღოს კონფერენციაში მონაწილეობა, როგორც ადრე იღებდა.

**პეტერბურღი**, 22 ივლისს. ცეცხლის გემს „ზაბიაკას" ბრძანება მოუვიდა, რომ დაუყოვნებლივ წავიდეს ადენში დადუმულ გემის „მოსკვის" პასაჟირების მოსაყვანად.

საქართველოს ეგზარხოსად დაინიშნა კიშინევის ეპისკოპოსი პავლე.

## დღიური

მაღალ ყოვლად-სამღვდელო ეგზარხოსი იოანიკე ამ თვის 20 ჩამობძანდა მარტყოფიდამ, სადაც იმყოფებოდა ამ ზაფხულს (და არა პეტიგორსკს, როგორც ამასწინად რუსეთის გაზეთები სწერდნენ). მარტყოფი ქალაქიდამ ოცს ვერსზეა და იქაური მონასტერი, სოფელი და ტყიანი დაგილი საზაფხულო ადგილად ამორჩეული აქვთ ეგზარხოსებს ისიდორესგან მოყოლებული. (ისიდორემ განაახლებინა მარტყოფის მონასტერი).

მაღალ უსამღვდელოესი იოანიკე, როგორც გავიგეთ, კვირას სიონში მწირველია უკანასკნელად. წირვის შემდეგ გამოეთხოვება მრევლს. სამღვდელოება თავის სახლში მიწვეული ჰყავს სადილად და გამოსათხოვებლად; სამღვდელოებას 22 სადილი ჰქონდა სემინარიაში. 26 ანუ 27 (ორშაბათ-სამშაბათს) წაბძანდება ქალაქიდამ ვლადიკავკაზის მხრით.

ამ ჟამად აქაურ სინოდის კანტორისთვის გარდაუცია საქმეები. ეხლა ქალაქში არც ერთი ეპისკოპოზი არ იმყოფება: ვიკარი, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრე გურიაშია დროებით დანიშნული.

* * *

რამდენიმე ცნობა საქართველოს ეგზარხოსებზე.

უკანასკნელი კათოლიკოზი საქართველოსი ანტონ მეორე (ირაკლი II შვილი-და) 1811 წლის 10 მკათათვეს დათხოვნილ იქმნა მიზეზისა გამო სხვისა-და-სხვისა. დანიშნულ იქმნა ეგზარხოსის სახელით საეკკლესიოს გამგებლად მცხეთის და ქართლის მიტროპოლიტი ვარლაამ (თავადი—ერისთავთ განი). ეს განაგებდა საქართველოს ეკკლესიას 1817 წლამდე. გარდაიცვალა მოსკოვს 1830 წ.

მეორე ეგზარხოსი იყო მიტროპოლიტი თეოფილაქტე 1817 ვიდრე 1821 წ.

მესამე ეგზარხოსი—მთავარ-ეპისკოპოზი იონა 1821 წ. ვიდრე 1832 წ.

მეოთხე—ეპისკოპოზი სარატოვის მოსე 1832 ვიდრე 1834 წ.

მეხუთე—მთავარ ეპისკოპოზი ევგენი 1834 წ. ვიდრე 1844 წ.

მეექვსე—მთავარ ეპისკოპოზი ისიდორე დაინიშნა 12 ნოემბერს 1844 წ. და გადაყვანილ იქმნა კიევის მიტროპოლიტად 1858.

მეშვიდე—ეპისკოპოზი პოდოლისა და ბრესლავისა ევსევი დაინიშნა 1858 წ. განაგებდა 1878 წლამდე.

მერვე—მთავარ ეპისკოპოზი იოანიკე 1878 წლიდამ 1882 წლამდე, რომელსაც გადაჰყავთ მოსკოვს.

* * *

ჩვენ შევიტყეთ, რომ ამ მოკლე ხანში გ. ზ. ჭიჭინაძეს ქვათახევის მონასტერში აუწერია განსვენებული ტარასი არხიმანდრიტისაგან დატოვებული ქართული ძველი ხელთ-ნაწერი წიგნები, რომელ „წიგნთ საცავეც" ადრიდგანვე ცნობილი და ქებული. გვაცნობებენ, რომ იქ ბევრი ისეთი წიგნება აღმოჩენილა, რომლებიც როგორც საქართველოს სამოქალაქო ისტორიებში აგრეთვე სალიტერატუროშიც არსად იხსენებიანო.

* * *

ამ დღეებში გამოვა ბატონიშვილის ალექსანდრეს-ძის ირაკლის სახსოვარი წიგნი.

* * *

ჩვენ გვწერენ, რომ ქვათახევის მონასტერში მყოფს ერთ ბერს სახელად ნიკო ჯობინაშვილს მშვენიერად შეუწყვილია განსვენებული ტარასი არხიმანდრიტისაგან ქართული „ხელ-

---

**„დროებისა" ფელეტონი, 24 ივლისი**

## დრამა ლინცში

(ნათარგმნი)

ვენა, 21 ივნისს

საშინელი რომანტიული ტრაგედია მოხდა ამას წინად ლინცის მოახლოებით.

ალაგი მოქმედებისა არის მშვენიერი ჩრდილოეთანი ბაღი ბრწყინვალე სასახლისა, გრაფ პუდენგოვების, ლტენგეიმში.

მგირნი—ორი ლამაზი ფრანცუზის ქალნი: მარია დამენი, 20 წლისა და ანნა რენვილ 26 წლისა. ესენი მოვიდნენ ვენაში საცხოვრებლად და აი ერთად მოიკლეს თავი, სურნელოვან ვარდებსა და ათასფერ ყვავილებს შუა. დრო, რომელიც ამათ ამოირჩიეს სასიკვდილოდ—მშვენიერი თიბათვის მთვარიანი ღამე. მიზეზი—უბედური სიყვარული შეუწდომელის „რაინდისა" და ცხოველი მშობლიური სიყვარული ახალ-დაბადებულისა და კიდევ გულითადი სიყვარული მეგობრისა. პირველი მოქმედი პირი ყმაწვილი კაცი 23 წლის, არისტოკრატი, პატრონი ამ სასახლისა, გრაფი ჰენრიხ პუდენგოვე, რომლის გმირობასაც შეადგენდა მხოლოდ ის, რომ ესიყო მიზეზი ორი საცოდავი ქალის სიკვდილისა, რომლის შემდეგაც, რასაკვირველია, ამას შერჩება „პირველი საქმოს" სახელი, თუმცა კი კაი კაცობით არა და მხოლოდ დიდი გამოჩენილის გვარის შვილობით...

იანვარში, 1881 წელსა, ყმაწვილი და ძრიელ ლამაზი ქალი მარია დამენ (სცენის სახელი—მარი დალმონი) მოვიდა პრიჟადგან ვენაში, გალობის სასწავლებლად და ოპერაში სამღეროდ. მარია დამენი, ქალი ფრანცუზული აქტრისისა, პარიჟში გამოვიდა პირველად მომღერლად ოპერაში, რამდენჯერმე მიწვეული იყო ლონდონში და თავის მშვენიერის ხმით და გარეგანი შეხედულებით, ძრიელ კარგად იყო მიღებული თეატრულ საზოგადოებაში.

ვენაში მისვლის უმალ იმან დაიწყო მუზიკის და სიმღერის სწავლა ერთ გამოჩენილ პროფესორთან, რომელიც დიდად იმადლობდა თავის შეგირდის ნიჭიერებით და ეძახდა იმას „მომავალი პატტი".

მარია დამენს მოჰყვა ვენაში მეგობარი, რომელმაც გაუწია ერთგულება სიცოცხლეში და სიკვდილშიაც. ეს იყო ანნა რენვილ, შერბურიდგან, პატრონი პატარა შვილისა.

დამენის ქალი იყო წყნარი ხასიათისა, სათნო და მხიარული, იმის მეგობარი ხანდისხან ავად-მყოფობდა მელანხოლიით და [illegible] უყურებდა კაცობრიობას. მ[illegible] სიცოცხლესაც. ორთავენი სცხოვრებდნენ წყნარად და განმარტოვებულნი. იცნობდნენ აქაურ საფრანგეთის ელჩს და მარია დამენმა ერთხელაც მიიღო მონაწილეობა დრამატიულ წარმოდგენაში, რომელიც წარმოდგენილი იყო საფრანგეთის ელჩის სასახლეში.

ზამთარში 1881 წ., მარია დამენმა გაიცნო, ელჩის სასახლეში ყმაწვილი გრაფი, ჰენრიხ პუდენგოვე, რომელმაც დიდის გულ-მოდგინებით დაუწყო არშიყობა მშვენიერ ფრანცუზის ქალს. შემდეგ ამ არშიყობისა, რადგანაც გრაფმა არწმუნებდა ქალს, რომ უეჭველად ჯვარს დაიწერდა, იყო ორსულობა დამენისა. მაგრამ, დღე თითონ დამენმა გაიმხილა თავისი ამბავი. იმან დასტოვა მრავალი წერილები და გრძელი ანდერძი:

„მე მოველ ლინცში—სწერს დამენი—რომ აქ შევხვდე ჰენრიხს, რო-

ჩართული“ წერა, (როგორც ხუცური, აგრეთვე მხედრულიც). ესევე ბერი აღგენს ქართულს „დედანსო“. რამდენიმე „ხელ-ჩართული“ ნაწერი ტფილისშიაც ჩამოუტანიათ.

* * *

გაზეთი „შრომა“ იწერება:

„ამ დღეებში ელიან აქ ანანოვს, რომელმაც უნდა წარუდგინოს ქუთაისის უფროსს ნოტარიუსს დასამტკიცებლად ის ნასყიდობის წერილი, რომლითაც მას შეუძენია თავადის მირსკისაგან მისი აჯამეთის ტყე და სახნავ-სათესი მიწები, მისი ყოველივე მამული ქუთაისში რკინის გზის სტანციის და ტფილისის ქუჩის შუა მდებარე, და აგრეთვე სოფ. ბაღდათს, სადაც მის შენობებში იმყოფება ერთში სამსაჯულო, მეორეში მსაჯული სცხოვრობს და მესამეში გამომძიებელი. ამასთანავე ანანოვს უყიდნია მისგანვე ბაქოში მდებარე მისი ნავთიანი ადგილი. როგორც ამბობენ მთლად ამ მამულებში მას მიუცია თ. მირსკისათვის 470,000 მანეთი, ესე იგი სამიათასის თუმნით იმაზედ ნაკლები, რასაც მისი ბრწყინვალება ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობას და გლეხ-კაცობას მარტო აჯამეთის მამულში სთხოვდა. მირსკის მამულის შეძენით ეს მილიონერი ანანოვი შეიქმნა თითქმის მთლად აჯამეთის მესაკუთრედ და მებატონედ. დიდად შეწუხებულნი არიან ამაზედ ამ აჯამეთის გარშემო მდებარე სოფლები: ეს აჯამეთი, მათი სულის დგმა, დღეს ამ ბატონის ხელშია; ეს მთელის გუბერნიის უძვირფასესი განძი, ეს სამეფო ტყე, სივრცით 20,000 ქცევაზედ უმეტესი, შეიქმნა ერთის კაცის საკუთრებად, რომელიც სცხოვრებს მოსკოვში, სადაც უნდა გაეგზავნოს ხოლმე იმას ყოველ წლივ ამ სამეფო მამულის ბევრი რამდენიმე ათასი თუმანი. ვარციხის ტყის საუკეთესო ნაწილიც ათას ხუთასი ქცევა, რომელიც ქანდინოებსა ჰქონდა მიცემული ბორჯომის ტყეში მონაწილეობის სამაგიეროდ ამას წინეთ უყიდიან ერთს პრუსიის ხემწიფის ქვეშევრდომს ნემეცს. უნდა აღვიაროთ, რომ სწორედ ამ ჩვენის ქვეყნისთვის დიდი უბედურება არის, რომ ეს დაუფასებელი ტყეები, ეს განძი, ურომლისოდაც მოუხერხებელია მის გარეშემო მდებარე სოფლების ცხოვრება, ისე გაიყიდ-გამოიყიდა, როგორც ერთი ბაზარში გასასყიდი საქონელი. გვიკვირს ასე ადვილად როგორ შეელია მთავრობა ამისთანა მამულებსა! ამ მამულების ასე გაყიდვით ახლო-მახლო სოფლებში მცხოვრები გლეხები გახდნენ ამ ტყეების პატრონების არა თუ დროებით, არამედ სამუდამოდ ვალდებულ ყმებად. ძნელი წარმოსადგენელი რამ არის, თუ რა მდგომარეობაში ჩაცვივდებიან ამ ტყეების შემაყურებელი გლეხები, როდესაც ეს ვაჭრები, სომეხი და ნემეცი, მოინდომებენ მთლად ამ ტყეების გადაკაფვასა ფულის მოსაგებლად. ეჭვი არ არის, რომ ანანოვი შეისყიდის იმ ვარციხის ტყესაც იმ ნემეცისაგან. ამბობენ, ამ ანანოვმა ძალიან გაუჭირაო საქმე იმ ნემეცსაო: გზა შეუკრაო შურის-ძიების გამო, რომ იმ ნემენცს უფრო მეტი მიუციაო იმ ტყეში პატრონებისათვის, ვიდრე თითონ ანანოვი აძლევდაო.

„ამ აჯამეთის ტყის ერთი ნაწილი, სივრცით ათას ქცევამდე, რომელიც უწყალობა ხელმწიფემ განსვენებულს თავადს გრუზინსკის, იმედი არისო, რომ ადგილობრივ მცხოვრებლებმა შეისყიდონო ბ. ლეჟავას შუამდგომლობით. ღმერთმა ინებოს! დ-დი ყურადღება უნდა იქმნეს მიქცეული ეხლავე ამ ტყეების მდგომარეობაზედ, თორემ შეიძლება, ეს ტყეები სრულიადაც მოკაფონ, რითაც მიეცემა მრავალნაირი და განუსაზღვრელი ვნება აჯამეთის ახლო-მახლო მდებარე სოფლებს. ვის მივექცეთ, თუ არა თითონ მთავრობას, ამ თხოვნით, რომ დროზედ იყოს მიღებული ამ ტყეების თაობაზედ რაიმე საშუალება, მინამ ამისთანა საზოგადო საჭიროებაზედ მზრუნველად აღმოუჩნდება საზოგადოებას ერობა. საჭიროა, რომ იქმნეს დაცული საზოგადო კეთილდღეობა და რომ ამ საზოგადო კეთილ-დღეობის საჭიროებას ემორჩილებოდნენ მილიონების პატრონებიცა.

* * *

გაზეთ „შრომაში“ ვკითხულობთ:

„შაბათს 24-ს ივლისს, ქუთაისში მოელიან კავკასიაში სასამართლოების რევიზორად დანიშნულს ტაინი სოვეტნიკს ბერს: ბერს თან მოჰყვება სენატის ობერ პროკურორის ამხანაგი პლატონოვი, რომელიც მის თანაშემწედ არის დანიშნული“.

* * *

სომხურ „მეღუში“ სწერია:

„ამ დღეებში ალაბარში გარდაიცვალა ერთი ქართველი მეხამე, ივანე ბექანაშვილი, რომელსაც დარჩენია ნაღდი ფული 30,000 მან. მიცვალებულს მემკვიდრე არავინ დარჩენია“.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ახალციხე, 16 მკათათვე. ამ დღეებში მე მომიხდა ჩემს სამშობლო ქ. ახალციხეში გავლა. გარდავავლე თვალი კვლავუნდულებ, მივიხედ-მოვიხედე და დავაკვირდი დროების არა სასიამოვნო მრავალ მოვლენაებებსა. სხვა ბევრ საგანთა შორის, მომეტებულად უფრო ერთმა შემთხვევამ მიიზიდა ჩემი ყურადღება. შევესწარ სომეხთ კათოლიკეთ და ძირთად ქართველ კათოლიკეთ ცილობას ეკკლესიის სინდიკების ამორჩევაზედა; ამ პირველთ აზრუმითგან გარდმოსვლისავე უგიათ თავიანთთვის ღვთის-მშობლის მიძინების ეკკლესია და ღვმღის უმართვიათ თავიანთ ხელითა.

ამ 20-ის წლის წინად, გარდვიდნენ ჩვენი ახალციხის ძველის ქალაქიდგან ქართველთ კათოლიკენი მათ ახალს ნაწილში მარდას, და იწყეს სიარული ლოცვა-წირვაზედ ხსენებულს ეკკლესიაში, აბრწყინებდნენ მას თავიანთ უხვის შესაწირავებითა. მაგრამ დიდ ხანს მოწყვეტილი იყვნენ ქართველის სახარებისა და ქადაგების სმენისაგარ; ისევ ძველი ნაწილის ეკკლესიების ერად ირიცხოდნენ და ძველივე ქალაქის მღვდელნი ჰყავდათ შეველელად ყოველს თავიანთ საჭიროებაში; ერთის სიტყვით სახელი ამათი იყო და სახრავი სხვისა. ამაზედ ერსაც გული ემღვრეოდათ, მაგრამ ითმენდნენ დროების მოთხოვნილების დაგვარად!

ბოლოს, როგორც იქმნა ძმურის თანხმობით ქართველ კათოლიკეთ ამ სამის წლის წინად მიეცათ თავიანთ ენის მღვდელი და შეირაცხნენ ადგილობრივი ზემო-თქმულ ეკკლესიის ერად, რომლით უფრო გამამაცლნენ და მოუმატეს ღვთის მსახურებრივ მოღვაწეობასა. იქ დაუახლოვდნენ სომხობას თითქო ერთი დედმამისგან შობილი შთამომავლობაათ.

ამ მშვიდობიან მდგომარეობაში ჩამოვარდა უეცრად რაცლა ამათში უსიამოვნო მიმართულება. რაღაცა მიზეზებმა გამოიწვიეს ჩვენი ქართველობა და მოსთხოვეს ამ დღეებში სომხებსა, ეკკლესიის სინდიკების ორში ერთიც ქართველი ყოფილიყო, რომ ჩვენც, როგორც ეკკლესიის ერთა, ვიცოდეთ, საეკკლესიო შესავალ-გასავალიო! ამ გვარი ძმური წინადადება მეტად იწყინეს სომხებმა და შესჩივლეს თურმე წერილით სომხურს „მეღუს“ რედაქტორსა ერთის მოხსენებითა: „ჩვენ მონანულნი ვართ, რომ გუშინ ნება მივეცით ქართველებს თავიანთ საკუთარის მღვდლის ყოლისა ჩვენს სომხის ეკკლესიაში; ქართულ სახარების და ქადაგებას ყურს მოჰკრამთ თუ არა, მაშინვე პუტპუტით კარზედ გამოვცვივართო; დღესაც გვთხოვენ, რომ ორ სინდიკში ერთიც იმათგანი იყოს ჩვენს ეკკლესიაში. ესეც რომ აღუსრულოთ, ხვალ ეკკლესიის ზედამხედველ მღვდელსაც გაიჩენენ და ასრე ჩვენს სომხის ეკკლესიას ქართველობის ეკკლესიად აქცევენო! ამაზედ რჩევას სთხოვენ „მეღუ ჰაიასტანის“ რედაქტორსა, რომელიც მეტად

---

ლიც აპრილის შემდეგ არ მინახავს, და რომელთანაც შარშანდელს აქეთ მეუღლესავით ვცხოვრებ. მკათათვის დამდეგს ვიგრძენ ორსულობა და ამან გაანადგურა ჩემი სიცოცხლე. ამით არ მინდა ვიჩივლო: ეს მდგომარეობა შედეგი იყო ჩემი უბედურის, სუსტის ხასიათისა. მე ვენაში მოველ სიმღერაში გასაწრთვნელად. პირველად უნდა მემღერნა ვენის ოპერაში, როდესაც ვიგრძენ, რომ დედა ვარ. მე მივწერე ბარონ გოფმანს, კარის თეატრების დირექტორს, რომ, შინაური საქმეებისა გამო, ვტოვებ ვენას. გრაფ ვენრიხ კუდენგოვს მე ვსაყვედურობ მხოლოდ იმისთვის, რომ იმისი ამ გვარი ქცევა მატოვებინებს ამისთანა ალაგს. თუ ის არ მომისმენს, თუ ის არ მოინდომებს გაასწოროს თავის დანაშაული და მოითხოვოს შენდობა ჩემს ამდენს უბედურობაში—მე თავს მოვიკლავ. პირველი იმის დანაშაული იმაში იყო, რომ ის მიშლიდა დაბრუნებას საფრანგეთში, რომ მომელოგინებინა. იმან მითხრა:—შენ ნება არა გაქვს დასტოვო მამა იმ ბავშვისა, რომელსაც შენ ატარებ გვამით. მე შენ თავის დღეში არ გაგიშვებ, დიდი კავშირი გვაერთებს ჩვენ ერთმანეთთან სამუდამოდ; ჩვენ ერთმანეთს თავის დღეში ვერ გავშორდებით და მე ჯვარს დაგიწერ, რამწამს კი შესაძლებელი იქნება. შენის მხრით დიდი სიავეა, რომ გსურს თავი დამანებო.“

„ამის შემდეგ ვალად ვრაცხდი დავრჩენილიყავ. მე მჯეროდა იმის სიტყვები და დარწმუნებული ვიყავ, რომ აასრულებდა თავის მოვალეობას თავის შვილის მშობლის შესახებ. შემდეგ კი მე დავრწმუნდი, რომ იმას უნდოდა უფრო დიდი ხნით დაეტოვებინა თავისი დედაკაცი. გეფიცები, რომ ეს მართალია. ერთხელ ის მწერდა: „მე ბედნიერი ვარ იმით, რომ შემიძლიან მოგწერო რამდენიმე სიტყვა, რომ ნუგეში გცე შენს მდგომარეობაში. თუ მართლა ახდება უბედური შემთხვევა—ნუ გეშინიან, ჩემო გულით საყვარელო! მე შენთან ვიქნები, და თუნდაც ბედმა ერთმანეთს არ შეგვაერთოს გვირგვინით, სიყვარული შეგვაერთებს სამუდამოდ. მე მეცოდინება, თუ რას თხოულობს კაცისგან პატიოსნება და სარწმუნოება, რომელსაც ჰყავს შვილი—და ვიშრომებ დედისაც და შვილისაც ბედნიერებისათვის“. ვალად ვრაცხ გავაუმჯობესო შენი მდგომარეობა იმდენად, რამდენადაც კი ხელს მამცემს ჩემი შეძლება. ამაში გეფიცები პატიოსნებას; გაძლევ სიტყვას პატიოსანი კაცისას და მომავალი აფიცრისა. ეს წერილი, რომელიც დარჩება შენ ხელში, დეე იყოს საბუთად ჩემის სიტყვების სიმტკიცისა“.

„ენკენისთვის დამლევს ის დაბრუნდა მამასთან. მე დავრჩი აუწერელ გაჭირვებაში დებლინგში (ვენის მახლობლად), სადაც უკანასკნელად ჩვენ ერთად ვცხოვრებდით. მე გავყიდე რაც კი მებადა, ჩემი შლიაპებიც კი. როდესაც იმას მივწერე, რომ მამისთვის ეამბნო სუყველაფერი სიმართლით, ის მიპასუხებდა ახალ ამბავს: „ჩემმა საყვარელმა ცხენმა ფეხი მოიტეხაო“!

„თუმცა იმედი არ დამიკარგავს, მაგრამ ვიგრძენ კი ჩემი შეცდომა; ვიცოდი, რომ ის სრულ-წლოვანი და თავისუფალი არ იყო, მაგრამ მამისთვის უწლოვნობა არ არის ოც-და-სამი წლის ვაჟკაცობა. იმას რომ გული ჰქონოდა, მამისთვის უნდა ეთქვა: „ჩვენ წინ არის დედაკაცი, რომელიც მე გავხადე დედად და რომელსაც მე აღვუთქვი ყველაფერი, რაც კი შეიძლება, რომ აღითქვას. არ გავუშვე

…დამწვარი სწუხს არა იმდენად … საბჭო საგანზედა, ქართველი და …ის სინდიკების დადგენების თაო-… როგორც ქართველთ სომხუ-… ენის არ მიღებაზედა: გააქეს თავი-… რად სამაგალითო ზღართა-ზღურ-… უშლის, არ აძლევს ნებას, არ …ება და არც შეიძლება სომხის …ესიაში ქართული ენის შეტანა, … მოხდა დიდი შეცოდება და შე-…ება არისო! დავიწყებია საბრალოს … კეთილ მაგალითი, რომ მეხუ-… და მეექვსე საუკუნოებში, საქარ-…ოდ შემოფარებულ, შემოხიზნულ …ები ჩვენ ეკკლესიებში სწირევდ-… და ლოცულობდნენ, ერთ მხა-… ეკკლესიისა ქართული ლოცვა …ვა იყო და მეორე მხარეს სომხუ-… როგორც მოწმობს, ბ. მ. ჩამჩი-… მაე ყოფილა მრავალგან, რო-…რც ახალციხესა, წუნდასა, ოზრო-…სა და სხვაგანაცა.

…ბოლოს ასეთ დასკვნას აძლევს: … რომ ტფილისის ქართველებმან, …თებმან და მალაკანებმან არა მარ-… შეისწავლეს სომხური, არამედ …ადაც ლაპარაკობენო, ახალცი-…თ ქართულ მოლაპარაკე სომხე-… (ასე იხსენებს ქართველ კათოლი-…ებს) მცირედ ნაწილთა რა დაუმარ-…, რომ ვერ ისწავლეს სომხური …ა, სჩანს სძულთ, არ უნდათ სას-…ულებლადაო? თუ აგრეა, უთუოდ …ართ იმათ, რომ ისწავლონ, თუ … და შორს და მშვიდობით მი-…ძანდნენო! (№ 72)…

…ნახეთ ჯეროვანი საჩივარი სომეხთ …თოლიკებისა და ბრძნული რჩევა …ხურ „მეღუს ჰაიასტნის“ რედაქ-…რისა?.. ამ ნაირი მეცნიერი მწო-… - მზომელ - გამკვეთელები რომ …ეთ სომხობასა, რაღა უშავსთ აშე-…ით-აშენდებიან? ბარაქალა იმათ …-გონიერებასა!

…დიად სამწუხაროა ჭეშმარიტად …თი ესრეთი ყოფა-ქცევა! მთელმა …ყნის ტომ-გვარებმან შეიტყეს მე-…ერთაგან ლოღიკურად განაწილე-… სხვა-და-სხვად გვაროვნობისა ტიბიკონისა და სარწმუნოებისა ერთ მეორეში შეურევნელად, ასე გასინჯეთ მთიულმა ბარბაროსებმაც გაიგეს და მიიღეს კიდევაც, მაგრამ ტფილისის სომხურ „მეღუს“ ჯერაც ვერ გაუგია.

მე არ შევეხები ქართველ კათოლიკეთ სინდიკის ამორჩევის საგანსა, ის ძმური საქმე არის, მრავალი მაგალითი გვაქვს იმაზედა. ამის წინად ადრე ტფილისის ქართველ კათოლიკეთ ძმათ უმფროსად ჰყავდათ ბ. დესიმონი და ბ. ბარონ ნიკოლაცა… ხოლო, რაც შეეხება გვაროვნობას, ენასა, მოგახსენებთ ამაზედა: ჩვენ შარშან „დროებით“ საქვეყნოდ გამოვაცხადეთ და დავამტკიცეთ ჯეროვანის ფაკტებითა, რომ ნამდვილი ქართველები ვართ დროებითად შესულნი სომხის ტიბიკონის ქვეშ.

ცხადი ჭეშმარიტებაა რომ, რომელიმე ტიბიკონი არც სარწმუნოებას შესცვლის და არც არა გვარ-ტომობის მოდგმასა. მივხედოთ მთელ ევროპიის გვარებსა. ვერც ლათინისა და ვერცარა ბერძნის ტიბიკონი სცვლის იმათ თავიანთ მოდგმობითგან; მაჰმადის მძლავრმან სარწმუნოებამ თუ ვერ შეიძლო გაარაბება ამდენი ქვეყნის ტომობისა ჩვენ თვალ-წინ: ქართველებისა, სომხებისა, პარსებისა, თათრებისა, ასორებისა, გიპტებისა, მავრიტანებისა, დურზებისა, ინდოებისა, მალრიბებისა და სხვათა, სომხების ტიბიკონს, როგორღა შეუძლია ჩვენი გასომხება?

კარგად შეიტყოს „მეღუმ“ ჰაიასტანისა, თუმც ჩვენ სომხური კითხვაც ვიცით, წერვაცა და ენაც გვესმის კარგად, გარნა ჩვენი ტკბილი სამშობლოს დედა ენას ქართულს, ქვეყნის დიდებულ არც ერთს ენაზედ არ გავსცვლით; როგორც დღემდის მარად, ეგრედ დღეის წაღმართ საქართველოს მიწაც ჩვენია, წყალიცა, ენაცა და ხალხოსნობაცა. ჩვენს ჩვენს კარ-მიდამოში და ჩვენს მამულში არვის არ ვაბატონებთ და არც არა ვაბრძანებინებთ.

ჩვენ წინაპართ მრავალ-მხა ეკლესიებ-ბი დაუთმიათ თქვენთვის, რომ დღეს თქვენ ხელთ არის სოფელ-ქალაქებში! რატომ არ გიდავებით და არა გყრით საყდრებიდგან გარეთ? თქვენ კი აგრეთ . . . . . . . რჩევას აძლევთ, — დაითხოვეთ ეკკლესიიდგანაო, მშვიდობის ჩამოგდების მაგიერ?

. . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . . . .

. . . . . . . . . .

ვინმე მესხი.

# უცხოეთი

## ეგვიპტეს ამბები

თუმცა ეგვიპტის ქედივმა მოღალატედ და არეულობას მოთავედ გამოაცხადა არაბი-ფაშა და უბრძანა ჯარსაც, რომ არ დიამორჩილონ არაბის ბრძანებასა, მაგრამ ის მაინც თავისას არ იშლის, შერიგებას არ აპირებს და დიდს მზადებაშიაც არის. არაბიმ გარდასახადიც მოსთხოვა ხალხს. ჯერ ჯარში 12,000 კაცი ჰყავსო არაბი-ფაშას. ქაირში სრული მშვიდობიანობა არის. აქ შეუდგენია არაბი-ფაშას მახმუდ-ფაშის შემწეობით ახალი სამინისტრო. უოველი მამა-კაცი, რომელსაც კი შეუძლიან იარაღის ტარება, არაბიმ გახადა ვალდებულად, რომ საომრად გამოვიდეს.

— გაზ. „Times“-ში დაბეჭდილია არაბის წერილი გლადსტონთან, დაწერილი იმ დრომდინ, სანამ ინგლისელები მიადგებოდნენ ალექსანდრიასა და ყუმბარებს დაუშენდნენ. არაბი ამბობს წერილში, რომ ერთი თოფის გამოსროლა ინგლისელებისაგან დააჲწყებს, უარს-აყოფინებს ეგვიპტეს ყოველივე პირობებს. ევროპიელებს ყოფა-ცხოვრება აიწერება, ვალზედ კონტროლი მოისპობა, არხები დაინგრევა, მისვლა-მოსვლა ვაწყდება. მაჰმადიანების ფანატიზმი ეაილვიძებს, რომ გამოვაცხადოთ სარწმუნოებითი ომი სირიაში, არაბეთში, ინდოეთში.

— ერთ მხედარს, რომელიც სტამბოლიდამ ჩასულა ალექსანდრიაში, უპოვნესო ბევრი საბუთები, [illegible] სჩანს, რომ არაბი-ფაშას [illegible] ჰქონია პანისლამისტების დასთან (დასი, რომელსაც ჰსურს მთელი ქვეყნის მაჰმადიანებისაგან ერთი კავშირი, ერთობა დაადგინოს), რომელიც თვით ხონთქრის სასახლეში მოქმედებს. ბევრი ხონთქართან დაახლოებულნი, მაღალი წოდების პირნი არიან გახვეულნი ამ საქმეშიო.

— არაბი-ფაშა დეკლარაციით აუწყებს ოსმალეთის მჰართებლობას თავის გარდაწყვეტილებას: „იხსნას ისლამი დღუპვისაგან და დაამხოს ურჯულოთა ბრძნებულობა.“

— ლესსეპსი (სუეზის არხის გამყვანი) ეგვიპტედამ იწერება, რომ არაბი-ფაშას არ ჰსურსო, რომელიმე სახელმწიფომ დაიჭიროს სუეზის არხი და იმ აზრის მომხრეაო; რომ ყველას თავისუფლად სარგებლობა შეეძლოს იმითაო.

## ტფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—ძარღვების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირამანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—ძარღვების სისუს- ავათმყოფობისა.

---

…შობლოში; ეხლა ის აქ არის უნუ-…ოდ და ყველასგნით მიტოვებული. … ვალი გაქვს, ჩემი პატიოსნების …ცვისთვის, მიიღო ის შენ მფარველობის ქვეშ“. ამის მაგივრად ის მი-…რო მამას ჩემსა და თავის შვილის …აალმდეგ! მიკვირს, რომ გრაფი …ნცი (ზენრიხის მამა) ისე უგუ-…თ მოექცა თავის შვილის-შვილს!.. …იმათ ეგონათ, რომ მე ვსაჭიროებ-… იმათ ფულებს და ამისათვის იადვი-…ებდნენ ჩემ შესყიდვას. ზენრიხმა …ტყვა გამომართვა, რომ იტალიაში …ულიყავ დასაწოლად. დაბრუნება … მხოლოდ მაშინ შემეძლო, როდე-…ც ყველაფერი რიგზე გაივლიდა, …მ თავიდან აეცილებინა ყოველ…ი უსიამოვნება. მეფიცებოდა, …უმეს მივიღებ ჩემ შვილადაო. წას-…ლის წინად, გრაფის ფრანცის ბრძა-…ებით, პოლიციამ მიმიწვია დუბლინ-… იქ უშვერის სიტყვებით გამლანძღეს, ასე რომ ადვოკატის დაჭერა მომინდა. შემდეგ ობერ-კამისარმა ლანდშტეინერმა ვენაში მიმიწვია: ის უფრო უპატიოსნოდ მომექცა: იმან შემომაძლია 4,000 გულდენი, თუ მე ხელ-წერილს მივცემდი, რომ გრაფი ზენრიხი კუდენგოვე არ იყო მამა ჩემის შვილისა!.. მე ზიზღით უარვყავი ეს წინადადება.

„ამათ არ ესმოდათ, რომ დედაკაცს შეუძლიან დაეცეს და ამასთანვე არ დაჰკარგოს თავის პატიოსნება. წინადადება, რომ ხელ-წერილი მიმეცა, ზენრიხი არ არის მამა ჩემის შვილისაო, მივიღე დაბადების შემდეგაც… ეს გაუპატიურება საშინელებაა. სურვილი, რომ ნაშობი შვილი გავაუბედურო—ეს მომატებულია. ამის დაბადება თუმცა უკანონოა, მაგრამ სასირცხვილო კი არ არის. მე აღარ ვლაპარაკობ იმ სიღარიბეზედ, რომელიც მე მომელოდა, რომ კიდევ მეცოცხლნა. მე რომ მეთხოვნა შემწეობა ხალხისთვის, ადვილად მოვიპოვებდი ყველას. მე ეს არ მსურს; მე მრცხვენია იმისი, რომ ვენდე იმისთანა კაცს, რომელიც ღირსი არ იყო, და ამისათვის აღარ მინდა სიცოცხლე. ბედნიერად ვრაცხ ჩემ თავს, რომ ჩემი ტანჯვა და სიცოცხლე მალე დაბოლოვდება. ჩემში ყოველივე მოკვდა, თავის დაცვის გრძნობაც კი.

„ალინა, რომელიც მე აქ მოვიყვანე და რომელიც მე მეკუთვნის სულით, თავს არ მანებებს სიკვდილის დროსაც. მე ყოველ ღონის-ძიებას ვხმარობ, რომ გადავათქმევინო როგორმე; მაგრამ ამას მე ყველაზე მომეტებულად ვუყვარვარ ქვეყანაზედ და სურს ჩემთან სიკვდილი. ჩვენ გვსურს ორთავეს, რომ ვენაში ვიყვნეთ დამარხულნი და არ წაგვიღონ საფრანგეთში. ეს ჩვენი უკანასკნელი სურვილია.

მარია დამენ-დალმონი.

10-ს ივნისს 1882 წელს.

ეს წერილი იდვა კონვერტში, რომელიც შავი ლაქით იყო დაბეჭდილი და ზედ ჰქონდა წარწერილი: „წაიკითხოს სიკვდილის შემდეგ“. მეორე კონვერტში იდვა წერილი რენვილლისა, რომელშიაც ის ამბობდა, რომ არავითარი ბრალი არა აქვს ამის მეგობარს ამის სიკვდილში, რომელსაც ეს სწყვეტავს, მხოლოდ იმისათვის, რომ ძრიელ უყვარს თავის ამხანაგი და არა ჰსურს უამისოდ სიცოცხლე“.

მგ. გ—ისა.

(დასასრული შემდეგში)

**ხუთშაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილის-ტიკური და ხირურგიული ავათმყოფობი-სა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურ-გიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მი-ფიმახოვი და დანიელ-ბეგოვი — შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში — სიფილის-ტიკური და ხირურგიული ავათმყოფობი-სა; ბასუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღვების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი — შინაგან ავათ-მყოფობისა; კელდიში — სიფილისტიკუ-რი და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი — ბებიაობის, ქალების და ყმაწ-ვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი — ძარღ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

მოსამზადებელი სკოლა

ე. თ. დოლგოვო-საბუროვისა

ამ ჟამად გადატანილ არის კონსუ-ლის ქუჩაზე, სლინკოს სახლებში, № 14. სწავლა და მიღება ყმაწვილების ორივე სქესისა გრძელდება. სრული პანსიონერები იხდიან თვეში 40 მან., არა-სრული 25 მან.; გარედამ მომ-სვლელი ყმაწვილები 8 საათ. — 1 საათ. — 6 მან., ნასადილევს სწავლე-ბით კი 10 მან. (4—3)

**КИРПИЧНЫМЪ ЗАВОДЧИКАМЪ**

рекомендую мои машины, приводимыя въ движеніе паромъ, лошадьми и ручныя, для дешеваго приго-товленія всѣхъ сортовъ **кирпича**, **черепицъ**, **трубъ** и т. п., въ особенности

**мои равносильно и постоянно работающіе**

**ручные кирпичные прессы,**



которые въ сравненіи съ другими методами фабрикаціи пред-ставляютъ самыя имянитыя выгоды и наибольшее сбереженіе. Они нуждаются въ двухъ людяхъ, чтобы приготовить 4000 провосходныхъ камней и также отлично приспособляются къ жатію тротуарныхъ, корридорныхъ плитъ и огнеупорныхъ камней, известняка, цементнаго песчаника, плакового кирпича и т. д, также къ сжатію, на половину высушенныхъ, впередъ получившихъ форму, камней. Проспекты даромъ.

**Louis Jäger** Maschinen-Fabrikant **in Ehrenfeld-Köln a. Rhein** (Германія).

(6—5)

**ინგლისის მაღაზიაში ახლად მი-ღებულია** დიდ ძალი ჩაი პირველი მოკრეფისა 30% უკეთესი, ვიდრე სხვაგან. იქვე **იყიდება:** პარ-უსინა 40 კაპ. დაწყებული; სტაქნები, ბაკლები 10 კაპ — დამ; პადნოსები 5 კ. — დამ, მურაბა და ალბომები ნახევარ ფასად და სხვ. (100—98)

მიცვალებულის შენახვა

(ბალზამით გაკეთება)

ახლად მოგონილის სისტემით, გვამის გაუჭრელად, სისხლის მილებში წამლის შეშვებით. ისეთ ნაირად შეინახება მიც-ვალებულის გვამი, რომ რამდენიმე კვი-რისა და თვის განმავალობაშიაც არ გა-ფუჭდება.

ფასი 40 მანეთიდამ 120 მანეთამდე.

ბალზამის საშუალების გარდა, ყინუ-ლითაც გავკეთებ მიცვალებულის გვამს.

ფასი 15 მან. 25 მანეთამდინ.

**ადრესი:** პაროჰის მოიჯარადრე კა-დურინი, ვორონცოვის წყლის-ნაპირა ქუჩაზედ. (3—2)

ბოლგარულ-ინგლისური **გუთანი გო-ნვარდისა** მსურველთ შეუძლიანთ გამო-იწერონ **თ. ა. პეპინოვისაგან**, რომე-ლიც არის აგენტი ბ. გოვარდისა.

კანტორა პეპინოვისა არის ტფილი-სის ქალაქში, არწრუნის სახლში, დვორ-ცოვის ქუჩაში. (6—6)

გ. ნიკოლოზის-ძე იოსელი-ანი იღებს თვისს პანსიონში ყმაწვილებს **პიროვით** მოსამზა-დებლად სხვა-და-სხვა სასწავლე-ბლებში. ადრესი: მიხაილოვის ქუჩა **№ 81.** (5—4)

ვამლევ დღიურად და თვეობით იაფათ მებლიროვან ოთახებს, სახელად

## „ლივადია“

გოლოვინის პროსპექტზედ. (20—13)

## მაღაზია

სალიანის თევზეულისა

უცხადებს საზოგადოებას, რომ მან ახლად მიიღო სალიანში მარტში დაჭე-რილი თევზეული საგანგებოდ მომზადე-ბული და ისყიდება წვრილადაც და პარ-ტიითაც. აქავე ისყიდება ყოველ დღე მო-ხარშული თევზეული. მაღაზია იმყოფება თამამშოვის ქარვასლის ქვეშ. (12—5)

გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბა-ღის პირ-და-პირ) და ბ-ნი იოანნის სიანთან (ოკრუჟნის სუდის ქვემოთ) ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოები-გამოცემა:

**წითელი ფარანი**, ფასი 15 კ.
**ხატაური** — — — 10 კ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკ-იანის ქართული წიგნის მაღაზიაში:

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

კ. ბ — შვილისაგან

გამოცემა

**ზაქ. ჭიჭინაძისაგან**

**ფასი ერთი აბაზი.**

ახალი ქართული

## ქარაბადინი

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; **ქუთაისში:** მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

**ფასი ყდიანის ერთი მანეთი.**

დაიბეჭდა და ისყიდება

## ქურდ ყარამნის შვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხო-ვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკა-ნასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძეს-თან.

ქართველ ქალებისაგან ნათარგმნი

## მოთხრობანი

წიგნი მეორე.

ისყიდება **ტფილისში:** შავერდოვ-თან, ჩარკვიანთან და გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში (ბაღის პირ-და-პირ).

**ქუთაისში:** ჭილაძის და ნიკოლა-ძის მაღაზიაში.

**გორში:** მ. კერესელიძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარ-კვიანის ქართული წიგნის მაღაზია-ში

**მამულის**

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება თფილისის წიგნის მაღაზიებში

**იგავ-არაკნი**

კრილოვისაგან და სიბრძნე-სიცრუ-ისაგან გალექსილი თ. რ. ერისთვისა.

**ისყიდება**

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად გამოსული რუსულს ენაზე წიგნი:

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი


**ტაქსის**

სავსებად ხორაგეულებათა, რომელ-ნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქ-ნებში და დატარებით 16 ივლისიდამ 1 აგვისტომდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილი

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | — 1 გირ. | 5 კ. |
| მეორის | „ | — 1 გირ. | 3½ |
| მესამის | „ | — 1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | — 1 გირ. | 5½ |
| მეორის | „ | — 1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | | | 1 გირ. | 6 კ. |
| მეორის | „ | „ | — 1 გირ. | 5 კ. |
| მესამის | „ | „ | — 1 გირ. | 4½ |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | | — 1 გირ. | 9 კ. |
| მეორის | „ | — 1 გირ. | 7 კ. |
| სუკი | — — | — 1 გირ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | | 1 გირ. | 10 კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | | — 1 გირ. | — კ. |
| მეორის | „ | — 1 გირ. | — კ. |


გამოვიდა ცალკე წიგნათ

დრამა

## სამშობლო!

ისყიდება შავერდოვის სააგენტოში.

ფასი 60 კაპ. (20—11)

ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლა-სებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუ-კიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემ-პლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურად. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს — ათს შაურად.


*Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Іюля 1882 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი